განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი : 24.01.2019
დასკვნის წარდგენის თარიღი 18.03.2019

თბილისი

2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.** საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა.**
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი სასურსათო ტექნოლოგიაში - 0104
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტირებული 21 16.09.2011

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჩხარტიშვილი,სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან გულუა, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვახტანგ კურცხალია, შპს - ,,შვიდი“, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დეკანოიძე, სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პროგრამა სახელწოდებით „სუბტროპიკული კულტურების ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგია“ ხორციელდება 2011 წლიდან (აკრედიტაციის თარიღი №21. 16.09.2011წ.)

2013 წლიდან პროგრამას შეეცვალა სახელწოდება და დღემდე ხორციელდება სახელწოდებით „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა“.

პროგრამა ემსახურება აგრარული დარგის სასურსათო ტექნოლოგიის მიმართულებას, კერძოდ, ამზადებს ფართო პროფილის სპეციალისტებს სუბტროპიკული კულტურების გადამუშავების პროდუქტების (ჩაი, თამბაქო, ეთერზეთები, ცხიმზეთები, ღვინო, ლუდი, უალკოჰოლო სასმელები, მინერალური სასმელები, ხილ-ბოსტნეული) ტექნოლოგიაში.

აკრედიტაციის პერიოდიდან (2011-2018წ.წ.) დღემდე პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები, გათვალისწინებული იქნა აკრედიტაციის დროს გამოთქმული რეკომენდაციები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 24 იანვარს (ცენტრის დირექტორის 04.01.19 წ-ის ბრძანება N04) „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით და მოხდა შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ადმინისტრაციის,განმახორციელებელი პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლების ჩართულობის მაღალი ხარისხი პროგრამის შემუშავების პროცესში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებული იქნა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა და ვიზიტის ბოლოს ადმინისტრაციის მიმართ გამოთქმული იქნა ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის და სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა დასკვნის ფორმირებაზე და დადგინდა საბაკალავრო პროგრამის „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

აკრედიტაციის ჯგუფის წევრების მუშაობის შემდეგ გამოიკვეთა, რომ საბაკალავრო პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან (ხუთი სტანდარტიდან ოთხი სტანდარტი შესაბამისობაშია, ხოლო ერთი- მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან).

- **რეკომენდაციები**

1. საგნებში ,,თბოტექნიკა სამაცივრე ტექნოლოგიის საფუძვლებით“ და ,,პროცესები და აპარატები“ სემინარებზე არ ჩანს ამოცანების ამოხსნის პრაქტიკა. ამ საგნების უკეთ ათვისებისთვის მიზანშეწონილია, გათვალისწინებული იყოს ეს უკანასკნელი.
2. სილაბუსში ,,საინჟინრო ეზოიმოლოგია“ კურსის შინაარსის ასათვისებლად, ლექციებთან ერთად, გათვალისწინებულია ლაბორატორიული მეცადინეობები. მიგვაჩნია, რომ მე-6 და მე-7 კვირის

თემატიკის გათვალისწინებით, მეცადინეობის ფორმა უნდა იყოს პრაქტიკული მეცადინეობა. (სემინარი)
3. სილაბუსში ,,სამკურნალო მცენარეების აგროტექნოლოგია", კურისის შინაარსის გათვალისწინებით, უმჯობესია: ,,პრაქტიკული სამუშაოს" ნაცვლად გამოყენებული იყოს ტერმინი: ,,პრაქტიკული მეცადინეობა."
4.სილაბუსებში „სამკურნალო მცენარეების აგროტექნოლოგია" და „საწარმოო მიკრობიოლოგია" კურსის შინაარსში არ არის მითითებული პრეზენტაციის ჩატარების დრო.
5. სასწავლო კურსში ,,მცენარეთა ბიოქიმია" დისკუსია ტარდება მხოლოდ მე-16 კვირას. სასურველია, დისკუსიები ტარდებოდეს მთელი სასწავლო სემესტრის განმავლობაში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - ყველა სილაბუსში შუალედური შეფასების მინიმალური ზღვრის განმარტება ბუნდოვანია. სასურველია, რომ დაზუსტდეს.
  - სასურველია დამსაქმებელთა სპექტრის გაფართოება;
  - სასურველია სწავლის შედეგების გამსხვილება;
  - სასურველია, ლაბორატორიების აჭღურვილობის გადახალისება თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - აკადემიური პერსონალის ურთიერთდასწრების პრაქტიკა.
  - უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად შექმნილია ტრენინგთა კურსები, რომლებიც აკადემიური პერსონალის გადამზადებისთვის უნივერსიტეტის მიერ არის დაფინანსებული.
  - უახლესი ტექნოლოგიებითა და საბიბლიოთეკო ბაზებით აღჭურვილი ცენტრალური ბიბლიოთეკა,რომელთანაც ელექტრონულადაა დაკავშირებულია ფაკულტეტის ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობისა და ადმინისტრაციის მუდმივი მზაობა დამხმარე სახელმძღვანელოების შეძენასთან დაკავშირებით.
  - ფაკულტეტზე შექმნილია აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი,რომლის ფარგლებში ფაკულტეტის საბჭოს მხარდაჭერით შესაძლებელია ფაკულტეტის ბიუჯეტიდან სხვადასხვა დარგობრივი მიმართულების კვლევითი პროექტების დაფინანსება.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- შეიცვალა საგნების სახელწოდებები, რაც განპირობებული იყო სასაწავლო კურსის შინაარსით შესასწავლი თემებით - სასოფლო-სამეურნეო ანუ აგრონედლეულის კვების პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგიასთან ერთად განიხილებოდა მათი კონტროლის და ექსპერტიზის საკითხები. აღნიშნული არ ფიგურირებდა არც სასწავლო კურსის დასახელებებში და არც საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაში. ამიტომ, მოხდა პროგრამის სახელწოდების ცვლილება, შესაბამისად სასწავლო კურსების სახელწოდებების შეცვლა.
- შემცირებული საგნების კრედიტების ხარჯზე დაემატა ახალი სასწავლო კურსი და გაიზარდა რიგი სასწავლო საგნების კრედიტების რაოდენობა;
- არჩევითი საგნების ბლოკში დაემატა ახალი საგანი;

- *საბაკალავრო პროგრამის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ რიგ საგნებში შეცვლილ იქნა კრედიტების რაოდენობა,* სასწავლო გეგმის სემესტრული სტრუქტურის დარღვევის გარეშე.
- სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგის დონის მიღწევის და სტუდენტთა სასწავლო პროცესში ჩართულობის ამაღლების მიზნით შეიცვალა საკონტაქტო საათების რაოდენობა;
- სასწავლო კურსის შედეგების მიღწევისათვის გაუმჯობესდა შეფასების სისტემა არსებული შეფასების ფორმებისა და კომპონენტების გამოყენებით. ცვლილების მიზანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული შეფასების სისტემის თანხვედრაში მოყვანა 5 იანვრის №3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესი“2016.29.01 და 2016.18.08 ცვლილებებთან, სასწავლო კურსის სწავლის შედეგების გაუმჯობესება, შეფასების სისტემის გაუმჯობესება - შუალედური შეფასების და დასკვნითი გამოცდის კრიტერიუმების დახვეწა;
- მოხდა საგნების სილაბუსების დახვეწა, კერძოდ, შეფასების რუბრიკის უფრო გაშლა და დაკონკრეტება, ლიტერატურის გაახლება როგორც, საგნის პედაგოგების მიერ გამოცემული ასევე, სხვა თანამედროვე სახელმძღვანელოებით.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია დეტალური ინსტრუქციის საფუძველზე (საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება, მისი შემუშავება, განხილვა და შემდგომი განვითარება) შეიქმნა პროგრამის თანდართული დოკუმენტაცია სპეციალური ნუსხის მიხედვით.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1. პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამა „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა" მიზანს წარმოადგენს მოამზადოსზოგადი ტრანსფერული და ფართო დარგობრივი კომპეტენციების მქონე აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი სასურსათო ტექნოლოგიაში ძირითადი სპეციალობით – „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა" და აღნიშნულის მიზნით შეასწავლოს ნედლეულის სახისა და ხარისხისაგან დამოკიდებულებით ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქტების: ჩაის, თამბაქოს, სუბტროპიკული ხილ-ბოსტნეულის კონსერვების, ეთერზეთების, ცხიმზეთების, მცირე ალკოჰოლიანი, უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების წარმოების ტექნოლოგია და ექსპერტიზა. მომავალ სპეციალისტს გამოუმუშაოს ახალი სანედლეულო რესურსების გამოვლენის, მათი შეფასების უნარი და შეასწავლოს ახალი სახის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიები და მზა პროდუქციის ექსპერტიზის ხერხები და პირობები. კურსდამთავრებულს მისცეს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის, დარგისპრობლემისგანსაზღვრის,მისიგადაჭრისგზებისძიების უნარი შესაბამისი მეთოდიკის, სახელმწიფო სტანდარტისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების გამოყენებით სასურსათო პროდუქტთა ექსპერტიზის ჩატარების და მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთების უნარი. უზრუნველყოს სტუდენტის თავისუფალიარჩევანისასწავლოპროგრამისფარგლებში ელექტიური საგნებისა დადამატებითი სპეციალობის (minor) პროგრამის არჩევისას ისე, რომ მიღწეული იყოს საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. პროგრამა აქტუალურია, ორიენტირებულია გადამამუშავებელი წარმოების განვითარებაზე, მიღწევადია, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და მისი მიზნების რეალიზებით წვლილს შეიტანს სუბტროპიკული დარგის განვითარებაში შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეციალისტების დასაქმების ხელშესაწყობად. პროგრამის განვითარების მიზნით შექმნილია თვითშეფასების ჯგუფი, რომელიც ახორციელებს პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ქმედებებს, მათ შორის ჯგუფის წევრების მიერ შეთავაზებული იქნა გაფართოებულიყო დამსაქმებელთა სპექტრი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის მისია - https://atsu.edu.ge/index.php/mission-geo • უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა - https://atsu.edu.ge/index.php/strategic-plan-geo • ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა - https://atsu.edu.ge/index.php/agrarian-strategic-plan-geo • საბაკალავრო პროგრამა „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა". • პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები; • დამსაქმებლების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;

- ინტერვიუ დამსაქმებლებთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია დამსაქმებელთა სპექტრის გაფართოება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა დასწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით, პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამაში შემუშავებულია სასწავლო კომპონენტები(საგნები). ყოველი საგნის სილაბუსში გაწერილია სწავლის შედეგები, რომელისთვისაც შერჩეულია შესაბამისი შეფასების მეთოდები. შეფასების მეთოდები გულისხმობს ცოდნის შემოწმების მიზნით გამოყენებულ იქნებს ისეთი შეფასების მეთოდები, რომელიც ადეკვატურია კონკრეტული სწავლის შედეგების მისაღწევად, ეს კი მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამის კომპეტენციების მისაღწევად. სწავლის შედეგები არის მიღწევადი, შეფასებადი და რეალისტური.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შემდეგი ზოგადი და პროფესიული კომპეტენციები:

- **ზოგადი კომპეტენციები** - კომუნიკაცია, მსჯელობისა და დებატების უნარი დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენაზე, წერისა და კომუნიკაციის უნარი, სიტუაციის ანალიზი, პრობლემის გამოტანა და მისი გადაჭრის გზების მოძიება თავისი კომპეტენციის ფარგლებში; სამუშაოს დაგეგმვა და მის დაწყებამდე პრიორიტეტების გამოყოფა. მიღებული ინფორმაციის ანალიზის უნარი, ასევე შეუძლია მოსალოდნელი შედეგების დიფერენცირება; აქვს უნარი მიიღოს მონაწილეობა როგორც ჯგუფურ, ასევე დამოუკიდებელ მუშაობაში; ცოდნის რეგულარულად ამაღლების მიღების მიზნით აქვს უნარი ლიტერატურისა და სხვა წყაროების გამოყენების უნარი; შემდგომში სწავლის გაგრძელების უნარი, ასევე

დავალებების, ლიტერატურის დამუშავების, რეფერატების, საკნფეენციო მოხსენებების მომზადებისა და საჯაროდ წარდგენის უნარი. ამავდროულად ჩამოყალიბებული აქვს ღირებულებები: ეთიკის ნორმები, უნარ–ჩვევები, საკუთარი აზრის დაცვა, განსხვავებული აზრის პატივისცემა, თვითკრიტიკა, პროფესიული კრიტიკა, პლაგიატისადმი უარყოფითი დამოკიდებულება;

- **დარგობრივი კომპეტენციები:** ეცოდინება შერჩეული ხილ-ბოსტნეულისა და სუბტროპიკული ნედლეულის ქიმიური შედგენილობა, მათი რაოდენობრივი და თვისობრივი ცვალებადობის აღწერა. ამ ცვლილებების მიზეზები, პროცესები, რომლებიც საფუძვლად უდევს მათი ცხოველმყოფელობის დროს მიმდინარე ნივთიერებათა ცვლას, ფერმენტებისა და მიკროორგანიზმების კლასიფიცირება, დეტალურად შეძლებს ბიოტექნოლოგიური პროცესის, მის ქიმიურ და მიკრობიოლოგიურიი პროცესების საფუძვლების ჩამოყალიბებას. კვების ფიზიოლოგია და ჰიგიენა, სასურსათო უსაფრთხოების საკითხები და სასურსათო პროდუქტთა სერთიფიცირების პირობები, მისი აუცილებლობის გამოკვეთა და ჩატარების ფორმულირება;
  შეეძლება: აგრონედლეულიდან კვების პროდუქტთა წარმოების სხვადასხვა ტექნოლოგიების, ცალკეული ტექნოლოგიური პროცესებისა და ამ დროს მიმდინარე გარდაქმნების აღწერა შეფასება, თბოტექნიკისა და სამაცივრო ტექნიკის საკითხების განხილვა-აღწერა, საწარმოო პროცესებთან და აპარატებთან, მათი სქემების განხილვა და პარამეტრების შედარება; ექსპერტიზისათვის ნორმების დაცვის მიზნით სასურსათო ნედლეულისა და პროდქტების ხარისხობრივი მაჩვენებლებით განსაზღვრა.

  შეეძლება განსაზღვროს აგრონედლეულისა და მისი გადამუშავებით მიღებულ კვების პროდუქტთა ძირითადი ქიმიური კომპონენტების რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებები სხვადასხვა ფიზიკურ–ქიმიური მეთოდის გამოყენებით, შეაფასოს მიღებული მონაცემები, ამოიცნოს კვების პროდუქტთა ექსპერტიზის შედეგები; შეაფასოს სასურსათო პროდუქტთა: ჩაის, ხილ-ბოსტნეულისკონსერვების, ღვინის, თამბაქოს, ეთერზეთისადაცხიმზეთის, ლუდის, უალკოჰოლოს სასმელებისა და მინერალური წყლების ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები, ამოიცნოს დაბალი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია, წუნი, შეაფასოს სხვადასხვა პროცესების გამომწვევი ორგანიზმები მიკროსკოპული შესწავლით სანიტარულ-ჰიგიენური შეფასებისა და ექსპერტიზის ჩატარებისას;

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებით მომზადებული სპეციალისტი, მიღებული კომპეტენციების გამო, ადვილად დასაქმდება. ამასთან, სფეროს პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, სუბტროპიკული სოფლის მეურნეობისა და მემცენარეობის განვითარების პარალელურად განვითარდება გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, არამედ შეიქმნება უდიდესი საექსპორტო პოტენციალის მქონე მაღალი ბიოლოგიური ღირსების მქონე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია. აღნიშნულის დასტურად, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის მიერმუდმივად ხორციელდებოდა და შემდგომშიც განხორციელდებაპროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრის, მათი შეფასებისა და გაუმჯობესების ღონისძიებები პროგრამის განვითარების მიზნით.

საბაკალავრო პროგრამის „ აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა“ სწავლის შედეგების განსაზღვრასა და მის განვითარებას პირველ რიგში უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი სილაბუსების შედგენითა და პროგრამაში განსახორციელებული ცვლილებების განხილვით. პროგრამის განვითარების საფუძველია დაინტერესებული პირების გამოკითხვა სპეციალურად შემუშავებული კითხვარების მიხედვით, დამსაქმებლების საჭიროებებზე მორგებული ანუ რელევანტური კურსების შექმნა, სასწავლო კურსების მეტი პრაქტიკული ორიენტაცია, აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და შეხვედრები დამსაქმებლებთან, რომელთა რჩევები გათვალისწინებული იქნება პროგრამაში მისი განვითარების მიზნით.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს ასევე სტუდენტთა გამოკითხვებს პროგრამის და მისი განმახორციელებელი პერსონალის შეფასების მიზნით. ამ გამოკითხვებს ატარებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობით. სტუდენტების მიერ ანონიმურად გამოთქმული სწორი და ადექვატური შენიშვნები განიხილება სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტის სხდომებზე და

წარმოებს მათზე რეაგირება; ყოველ სემესტრულად (საშემოდგომო და საგაზაფხულო) წარმოებს აკადემიური მოსწრების ანალიზი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, სასწავლო კურსების შეფასებების აღრიცხვით, კურსების დინამიკის და ამ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით პედაგოგების შეფასებების ანალიზით. ანალიზი განიხილება დეპარტამენტის სხდომაზე, წარმოებს რეაგირება წარმოქმნილ ხარვეზებზე სტუდენტებთან მეტი მუშაობით, პედაგოგების დონის ამაღლების შემოწმება ურთიერთდასწრების გზით;
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა“; • შრომის ბაზრის ანალიზი; • აკადემიური მოსწრების ანალიზი; • სტუდენტთა გამოკითხვები; • კურსდამთავრებულთა გამოკითხვები; კურსდამთავრებულთა ქსელი - https://alumni.atsu.edu.ge/ • სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტის სხდომის ოქმები • აკადემიური პერსონალის ურთიერთდასწრების ოქმები • ინტერვიუ დამსაქმებლებთან • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან • ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): აკადემიური პერსონალის ურთიერთდასწრების პრაქტიკა
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედია კრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგის დონის მიღწევის და სტუდენტთა სასწავლო პროცესში ჩართულობის ამაღლების მიზნით შეიცვალა საკონტაქტო საათების რაოდენობა;
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
საგანმანათლებლ ოპროგრამისმიზა ნი, სწავლისშედეგები დამათთანპროგრა მისშესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამისათვის შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე ნებისმიერი პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდები, მიღებული აქვს შესაბამისი სერთიფიკატი და პროგრამაზე რეგისტრაციას გაივლის ფაკულტეტზე სწავლის დაწყების წინ. ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად. პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების პირველი სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბაკალავრიატში ჩარიცხვის შედეგები - შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის შედეგების არქივი - https://naec.ge/#/ge/index; • დადგენილება№12 (17/18)- სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ; • აგრარული ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების პროფილი. • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კურიკულუმით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიღებისთვის პროგრამის სასწავლო გეგმაში თანამიმდევრულად და ლოგიკურად არის დალაგებული შესასწავლი კურსები, რომლებიც სხვადასხვა უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებას ემსახურებიან. სასწავლო გეგმის სტრუქტურა მოიცავს **ძირითადი და დამატებითი სპეციალობის სასწავლო კურსებს.**

ძირითადი სპეციალობის (major) სასწავლო კურსები – 180 კრედიტი. მათ შორის:

- სპეციალობის დამხმარე სავალდებულო კურსები – 48 კრედიტი;
- სპეციალობის (major) სავალდებულო კურსები – 117 კრედიტი;
- არჩევითი (ელექტიური) კურსები – 15 კრედიტი.

დამატებითი სპეციალობის (minor) კურსები– 60 კრედიტი, რომელიც გათვალისწინებულია პროფესიული კარიერული ზრდისა და დასაქმების არეალის გაფართოებისათვის.სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა ძირითად (major) სპეციალობასთან ერთად სურვილისამებრ აირჩიოს უნივერსიტეტში განხორციელებადი minor–თა ნუსხიდან სასურველი დამატებითი სპეციალობა და შეიძინოს არჩეული „minor"–ის შესაბამისიდამატებითი კომპეტენციები. (ამ მიზნის მისაღწევად საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმაში მეორე სემესტრის შემდეგ ყველა სემესტრში გათვალისწინებულია 10 კრედიტი).

წინამდებარე პროგრამის ფარგლებში დამატებით სპეციალობად გათვალისწინებულია **„minor" პროგრამა: „სასურსათო პროდუქტთა ექსპერტიზა",** რომლის სასწავლო გეგმა აერთიანებს 9 სასწავლო კურსს. დამატებითი სპეციალობის „minor" პროგრამის მიზანია ბაკალავრს სწავლის შედეგით ძირითადი სპეციალობის კომპეტენციებთან ერთად მისცეს შემდეგი დამატებითი კომპეტენცია: შეეძლოს სასოფლო–სამეურნეო ნედლეულისა და მისი გადამუშავებით მიღებული სასურსათო პროდუქტების – ჩაის, თამბაქოს, ხილ–ბოსტნეულის კონსერვების, ღვინის, ეთერზეთების, ცხიმზეთების, პურის, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრა, იდენტიფიკაცია, ექსპერტიზის ჩატარება სახელმწიფო სტანდარტისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტაციის გამოყენებით.

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული ხარისხი -"აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი სასურსათო ტექნოლოგიაში" შეესაბამება „კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს" მიხედვით მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს აგრარული დარგის სასურსათო ტექნოლოგიის მიმართულებით_ 0104.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო და დამატებითი სპეციალობის კურიკულუმი, სასწავლო გეგმა, კომპეტენციების მატრიცა;
- სილაბუსები;
- „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია - EP-QA“, აწსუ 2018 წლის 9 თებერვალი, №49 (17/18).
- ინტერვიუ სტუდენტებთან
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია სწავლის შედეგების გამსხვილება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

პროგრამის მოდიფიცირებით შემცირებული საგნების კრედიტების ხარჯზე დაემატა ახალი სასწავლო კურსი *და* სასწავლო გეგმით გათვალისწინებულრიგ საგნებში შეცვლილი იქნაკრედიტების რაოდენობა, სასწავლო გეგმის სემესტრული სტრუქტურის დარღვევის გარეშე.

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ ☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სასწავლო კურსების ქრონოლოგიური წყობა, რომელიც ლოგიკური და თანამიმდევრულია. კურსების შინაარსი ვითარდება თანამიმდევრულად ზოგადიდან უფრო კონკრეტულამდე, საბაზოდან სპეციალურამდე. შესაბამისად შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია. ზოგიერთ სასწავლო კურსს წინაპირობა არ

გააჩნია.

სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს კვალიფიკაციისთვის შესაბამისი კომპეტენციების თანდათანობითი განვითარებას და სწავლის შედეგი მიიღწევა სასწავლო კურსებს შორის არსებული ლოგიკური კავშირით და პრაქტიკული უნარების გამომუშავებით. საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ათვისების შემდგომ კურსდამთავრებულს გააჩნია სწავლების პირველ საფეხურზე მისაღწევი ექვსივე სახის კომპეტენცია - დარგობრივი და ზოგადტრანსფერული.

პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია სხვადასხვა ოდენობის კრედიტებით ასათვისებელი სასწავლო კურსები.კერძოდ:

3 კრედიტიანი (სულ 75სთ, სააუდიტორიო 30სთ),

4 კრედიტიანი (სულ 100სთ, სააუდიტორიო 45სთ),

5 კრედიტიანი (სულ 125სთ, სააუდიტორიო 45სთ),

7 კრედიტიანი (სულ 175სთ, სააუდიტორიო 75სთ),

10კრედიტიანი (სულ 250სთ, სააუდიტორიო 90სთ) სასწავლო კურსები, რაც განპირობებულია საგნის სპეციფიურობითა და მოცულობით. ზოგი სასწავლო კურსის (უცხო ენა 1, 2, 3 და 4) სააუდიტორიო დატვირთვა შეადგენს 60 საათს., თანაც ისე, რომ ყოველი კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

სასწავლო კურსი გაწერილია სილაბუსში, რომელიც მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: კურსის დასახელება, კურსის ტიპი, კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მითითებით, კურსის განმახორციელებელი, კურსის მიზანი, სასწავლო კურსის ფორმატი, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლა/სწავლების მეთოდები, კურსის შინაარსი, სასწავლო რესურსები და სხვა. შეფასების სისტემის გრაფაში დეტალურად არის აღწერილი სტუდენტის შეფასების ფორმები, მეთოდები და რუბრიკები. სილაბუსში მითითებულია ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები და სასწავლო–მეთოდური ლიტერატურა ბეჭდური და ელექტრული სახით, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

2011 წლიდან უნივერსიტეტში ჩართულია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ–კატალოგის (OPAC) სერვისი; ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა ელექტრონულ ბაზებზე http://www.atsu.edu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=508&Itemid=762&lang=en

სასწავლო კურსების შინაარსის პროგრამის შინაარსთან შესაბამისობის, სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდების სილაბუსთან რელევანტურობის, გამოყენებული ლიტერატურის ხელმისაწვდომობისა და ლექტორის კომპეტენტურობის შეფასების მიზნით, სემესტრის ბოლოს ხდება სტუდენტთა გამოკითხვაფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა“;
- სქემა კავშირისაპროგრამისსწავლისშედეგებსადაპროგრამაშიარსებულსასწავლოკურსებსშორის;
- „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია - EP-QA“, აწსუ 2018 წლის 9 თებერვალი, №49 (17/18);
- აწსუ ბიბლიოთეკა - https://library.atsu.edu.ge
- სასწავლო კურსის შეფასების მიზნით ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
- ინტერვიუ სტუდენტებთან
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან

რეკომენდაციები:

საგნებში ,,თბოტექნიკა სამაცივრე ტექნოლოგიის საფუძვლებით“ და ,,პროცესები და აპარატები“ სემინარებზე არ ჩანს ამოცანების ამოხსნის პრაქტიკა. ამ საგნების უკეთ ათვისებისთვის მიზანშეწონილია, გათვალისწინებული იყოს ეს უკანასკნელი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ არის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • შეიცვალა საგნების სახელწოდებები, რაც განპირობებული იყო სასაწავლო კურსის შინაარსით შესასწავლი თემებით - სასოფლო-სამეურნეო ანუ აგრონედლეულის კვების პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგიასთან ერთად განიხილებოდა მათი კონტროლის და ექსპერტიზის საკითხები. აღნიშნული არ ფიგურირებდა არც სასწავლო კურსის დასახელებებში და არც საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაში. ამიტომ, მოხდა პროგრამის სახელწოდების ცვლილება, შესაბამისად სასწავლო კურსების სახელწოდებების შეცვლა. • არჩევითი საგნების ბლოკში დაემატა ახალი საგანი; • მოხდა საგნების სილაბუსების ლიტერატურის გაახლება როგორც, საგნის პედაგოგების მიერ გამოცემული ასევე, სხვა თანამედროვე სახელმძღვანელოებით.
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამით გათვალისწინებული სწავლისშედეგები განაპირობებენ სტუდენტთა შემეცნებითი და პრაქტიკული აქტივობის ორგანიზაციას, უზრუნველყოფენ მათში კვლევითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას, პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. სტუდენტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ დეპარტამენტის კვლევითი პროექტების განხორციელებაში, სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შედეგები წარადგინონ უნივერსიტეტის, ასევე, რესპუბლიკურ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე და წარმატებულმა სტუდენტებმა მიიღონ წახალისებები. პროგრამის სასწავლო გეგმა ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის გავლას, რომლის განხორციელებას ემსახურება ბრძანებით დანიშნული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან გამოყოფილი პრაქტიკის ხელმძღვანელები, ასევე, დარგის კვალიფიცირებული სპეციალისტები პრაქტიკის ობიექტებიდან. უნივერსიტეტში მოქმედებს სხვადასხვა წრეები და ტარდება სტუდენტური დღეები, ექსკურსიები, რიგი სხვა ღონისძიებები ორგანიზებული უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, ფაკულტეტის დეკანატისა და სტუდენტური თვითმმართველობის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა“;
- სილაბუსები;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის პრაქტიკაზე გაშვების, შეფასებისა და პრაქტიკის გაუმჯობესების წესი
- პრაქტიკის ობიექტების ხელშეკრულებები;
- აგრარული ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- აგრარული ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების პროფილი.
- სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების მასალები
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ არის

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ ☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამაში გამოყენებულისწავლების მეთოდები შერჩეულია სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, რომლებიც სწავლება–სწავლის პროცესში ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან.

პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებულია სწავლების შემდეგი მეთოდები:

- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი;
- დისკუსია/დებატები;
- ლაბორატორიული მეთოდი;
- პრაქტიკული მეთოდი;
- ჯგუფური მუშაობის მეთოდი;
- დემონსტრირების მეთოდი;
- ინდუქციური და დედუქციური მეთოდი;
- ანალიზისდა სინთეზის მეთოდი;
- ევრისტიკული მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- ახსნა-განმარტებითიმეთოდი;
- როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი;
- თანამშრომლობითი სწავლების მეთოდი.

აღნიშნული მეთოდები წარმოადგენენ პედაგოგთა მიზანმიმართულ აქტივობათა სისტემას და ორიენტირებული არიან სტუდენტთა შემეცნებითი და პრაქტიკული აქტივობის ორგანიზაციაზე, უზრუნველყოფენ სტუდენტთა მიერ ცოდნის სრულყოფილ ათვისებას და შესაბამისად პროგრამით გათვალისწინებული შედეგის მიღწევას.

თუმცა აღსანიშნავია, რომ სილაბუსში ,,საინჟინრო ენზიმოლოგია“ მე-6 და მე-7 კვირის თემატიკის გათვალისწინებით, მეცადინეობის ფორმად,სასწავლო კურსის შინაარსის გათვალისწინებით, უნდა იყოს გამოყენებული პრაქტიკული მეცადინეობა (სემინარი)ლაბორატორიულ მეცადინეობებთან ერთად, ხოლო სილაბუსში ,,სამკურნალო მცენარეების აგროტექნოლოგია“, კურსის შინაარსის გათვალისწინებით, უმჯობესია: ,,პრაქტიკული სამუშაოს“ ნაცვლად გამოყენებული იყოს ტერმინი: ,,პრაქტიკული მეცადინეობა.“ რაც შეეხება სილაბუსებს „სამკურნალო მცენარეების აგროტექნოლოგია“ და „საწარმოო მიკრობიოლოგია“ კურსის შინაარსში არ არის მითითებული პრეზენტაციის ჩატარების დრო, ხოლო სასწავლო კურსში ,,მცენარეთა ბიოქიმია“ დისკუსია ტარდება მხოლოდ მე-16 კვირას.

აღსანიშნავიაა, რომ პროგრამის განხორციელების პერიოდში მოხდა პედაგოგების გადამზადება სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდების ათვისებაში, რაც აქტიურად იქნა დანერგილი სწავლების პროცესში. პედაგოგთა გადამზადების და მათ მიერ სწავლების პროცესში სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის შემოწმება წარმოებს სტუდენტთა გამოკითხვებითა და პედაგოგთა ურთიერთდასწრებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსები;
- სწავლების მეთოდების გამოყენება საგნების მიხედვით (სქემა);
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმე;
- სტუდენტთა გამოკითხვები;
- ურთიერთდასწრების ოქმები.
- ინტერვიუ დამსაქმებლებთან
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

1. სილაბუსში ,,საინჟინრო ენზიმოლოგია“ კურსის შინაარსის ასათვისებლად, ლექციებთან ერთად, გათვალისწინებულია ლაბორატურიული მეცადინეობები. მიგვაჩნია, რომ მე-6 და მე-7 კვირის თემატიკის გათვალისწინებით, მეცადინეობის ფორმა უნდა იყოს პრაქტიკული მეცადინეობა. (სემინარი)

2.სილაბუსში ,,სამკურნალო მცენარეების აგროტექნოლოგია“, კურსის შინაარსის გათვალისწინებით, უმჯობესია: ,,პრაქტიკული სამუშაოს“ ნაცვლად გამოყენებული იყოს ტერმინი: ,,პრაქტიკული მეცადინეობა.“

3. სილაბუსებში „სამკურნალო მცენარეების აგროტექნოლოგია“ და „საწარმოო მიკრობიოლოგია“

კურსის შინაარსში არ არის მითითებული პრეზენტაციის ჩატარების დრო. 4. სასწავლო კურსში ,,მცენარეთა ბიოქიმია“ დისკუსია ტარდება მხოლოდ მე-16 კვირას. სასურველია, დისკუსიები ტარდებოდეს მთელი სასწავლო სემესტრის განმავლობაში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად შექმნილია ტრენინგთა კურსები, რომლებიც აკადემიური პერსონალის გადამზადებისთვის უნივერსიტეტის მიერ არის დაფინანსებული.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არის
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრისდადგენილება №5(17/18) – „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“, განსაზღვრული პუნქტების გათვალისწინებით: 1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. 2.დაუშვებელიასტუდენტისმიერმიღწეულისწავლისშედეგებისერთჯერადად,მხოლოდდასკვნითიგ ამოცდისსაფუძველზეშეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს: ა) შუალედურ შეფასებას; ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას. 3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა): • შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის

მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:

-სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში (მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს) - არა უმეტეს 30 ქულა;

-შუალედური გამოცდა - არა ნაკლებ 30 ქულა.

- დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილი შეადგენს 40 ქულას.

4. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას.
5. შეფასებისსისტემაითვალისწინებს:

ა) **ხუთი სახის დადებითი შეფასება:**

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) **ორი სახის უარყოფითი შეფასება:**

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომსტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელიმუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს,რომსტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდანაქვს შესასწავლი.

6. მე-5 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.
7. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.
8. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.
9. დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15 ქულით.
10. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
11. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
12. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისსილაბუსებში, კერძოდ, სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში მოიცავს სხვადასხვა აქტივობის: ლაბორატორიული/პრაქტიკული სამუშაოს, პრეზენტაციის, ქვიზის, დისკუსიის, საკონტროლო წერის, ესეს შეფასებას; შუალედური გამოცდა ტარდება მე-8 კვირაში საგამოცდო ცენტრში ტესტების/საკითხების გამოყენებით; დასკვნითი გამოცდა ტარდება მე-17-18 კვირაში საგამოცდო ცენტრში ტესტების/საკითხების გამოყენებით.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და წინასწარაა ცნობილი სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის. თუმცა ყველა სილაბუსში შუალედური შეფასების მინიმალური ზღვრის განმარტება ბუნდოვანია და სასურველია, რომ დაზუსტდეს.

სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს სათანადო კონსულტაციები ლექტორებისაგან და თვითონაც განახორციელოს სხვადასხვა აქტივობა სწავლის პროცესში. შესაბამისად სწავლის შედეგის დასადგენად შეფასდება მისი აქტივობა ჯგუფური მუშაობის დროს და სხვა აქტივობებიც სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემული კრიტერიუმებით.

სტუდენტი შეფასების შემდეგ ინფორმირებულია მის მიღწეულ შედეგზე პირადად ლექტორისაგან, დეკანატისგან და ელეტრონული დეკანატისგან.

ლექტორთან კონსულტაციის შემდეგ სტუდენტი კიდევ უფრო აცნობიერებს ნაკლოვან მხარეებს და შემდგომში შედეგის გაუმჯობესების გზებს. სტუდენტს უფლება აქვს გააპროტესტოს შეფასების შედეგი და მოითხოვოს ახსნა–განმარტება.

აღსანიშნავია სასწავლო პრაქტიკის შეფასებისფორმები და მეთოდები. სტუდენტის ცოდნის

შეფასების კრიტერიუმებია: სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში - ჯგუფში მუშაობის შეფასება, შუალედური შეფასება - შუალედური გამოცდა: პრაქტიკის კოორდინატორის შეფასება და პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაციის შეფასება (ფასდება დეკანის მიერ შექმნილი კომისიის მიერ). ჯგუფში მუშაობის შეფასება (30 ქულა) თავის მხრივ მოიცავს საწარმოო პრაქტიკის თემატიკის სწავლის დონისა და ჯგუფში მუშაობისას აქტივობის დონის შეფასებას პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ. პრაქტიკის კოორდინატორის შეფასება (30 ქულა) მოიცავს თანამშრომლებთან კომუნიკაციის უნარის, გუნდური მუშაობის უნარი–ადაპტაციის უნარის, შესრულებული სამუშაოს ხარისხის, ორგანიზებულობა და პუნქტუალობის, ინიციატივა და პასუხისმგებლობის შეფასებას. პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაციის შეფასება (40 ქულა) ხორციელდებაფაკულტეტის დეკანის განკარგულებით შექმნილი კომისიის მიერ, რომელშიც შედის: პრაქტიკის ხელმძღვანელი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი და დეპარტამენტის წარმომადგენელი. სტუდენტის აკადემიური მოსწრების შეფასება წარმოებს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრების დასრულების შემდეგ, გაანალიზებული შედეგები ითვალისწინება სტუდენტის სწავლის დონის და აქტივობების ამაღლების შემდგომ პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრისდადგენილება №5(17/18) - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ; • აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის პრაქტიკაზე გაშვების, შეფასებისა და პრაქტიკის გაუმჯობესების წესი; • აკადემიური მოსწრების ანალიზი; • სასწავლო პრაქტიკის სილაბუსები. • ინტერვიუ დამსაქმებლებთან (პრაქტიკის ობიექტების ხელმძღვანელებთან) • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ყველა სილაბუსში შუალედური შეფასების მინიმალური ზღვრის განმარტება ბუნდოვანია. სასურველია, რომ დაზუსტდეს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ერთიანი ელექტრონული პორტალი, რომლის მეშვეობითაც ხდება აგრარული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ათვისების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და სტუდენტის სურვილის შემთხვევაში საგნების/მოდულების/დამატებითი სპეციალობის არჩევა და აპელაციის განხორციელება სწავლის შედეგის შეფასების შეცვლის მიზნით.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • გაუმჯობესდა შეფასების სისტემა არსებული შეფასების ფორმებისა და კომპონენტების გამოყენებით. ცვლილების მიზანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული შეფასების სისტემის თანხვედრაში მოყვანა 5 იანვრის №3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესი“2016.29.01 და 2016.18.08 ცვლილებებთან, სასწავლო კურსის სწავლის შედეგების გაუმჯობესება, შეფასების სისტემის გაუმჯობესება - შუალედური შეფასების და დასკვნითი გამოცდის კრიტერიუმების დახვეწა; • შეფასების რუბრიკია უფრო ჩაიშლა და დაკონკრეტდა,
შეფასება

✓ ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს: • სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, სტუდენტთა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი; • საგანმანათლებლო პროგრამისა და პროგრამის ცალკეული კომპონენტების არჩევის წესი; • საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი. აღნიშულზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის სერვისების მეშვეობით - სტუდენტების მოთხოვნილებაზე მორგებული სერვისები ერთ-ერთი მიმწოდებელი სტრუქტურაა, რომელიც TEMPUS-ის პროექტის ფარგლებში შეიქმნა 2014 წელს. სერვისი ახორციელებს შემდეგი მიმართულებების საქმიანობას: სტუდენტთა განცხადებების ელექტრონული მოძრაობის ორგანიზება; სტუდენტთა კარიერული განვითარების ხელშეწყობა; სტუდენტთა ომბუდსმენი; სტუდენტთა ფსიქოთერაპევტი; სტუდენტთა ტუტორინგი; აწსუ-ს კურსდამთავრებულთა ქსელი. აღნიშნული ქსელი მუშაობს 24 საათიან რეჟიმში როგორც უშუალო მიმართვის, ასევე კორპორატიული ელ.ფოსტის მეშვეობით info.students@atsu.edu.ge. აღნიშნულზე სტუდენტთა ინფორმირება ასევე ხდება ფაკულტეტის დეკანატის ორგანიზებული შესაბამისი კონსულტაციებით. უნივერსიტეტში მუშაობს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობით სტუდენტები ეცნობიან მათი აკადემიური მოსწრების შედეგებს ელექტრონულად.

პროგრამაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა, რომელიც აისახება აკადემიური პერსონალის დატვირთაში და ამისათვის გამოყოფილია კონსულტაციის დღეები და საათები.სტუდენტს აქვს უფლება კონსულტაციისთვის ლექტორს მიმართოს კორპორაციული ფოსტით, ასევე სილაბუსით გათვალისწინებულ საკონსულტაციო საათებში მობილური ტელეფონის საშუალებით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი, რომელიც ხელმძღვანელობს და ახორციელებს უნივერსიტეტში კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სფეროსთან დაკავშირებულ საუნივერსიტეტო საქმიანობას. სტუდენტებზე ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება https://atsu.edu.ge/index.php/sport-and-youth-center-geo საიტის მეშვეობით.უნივერსიტეტს აქვს კარიერული განვითარების ცენტრი. უნივერსიტეტი, აგრარული ფაკულტეტი,სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტიდარეგისტრირებულიასოციალური ქსელში, რომლებიც სისტემატიურად ავრცელებენ დაგეგმილი თუ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას, მათ შორის, საერთაშორისო მობილობაზე, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე და პროგრამის შესაბამისი დასაქმების ობიექტებზე არსებული ვაკანსიების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური- https://atsu.edu.ge/index.php/students-service-info • სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - http://94.43.132.98:8080/dekanati/ • აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსტიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დებულება • ინტერვიუ სტუდენტებთან • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა,
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არის
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობითაღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა ასახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით, სასწავლო დისციპლინებს უძღვებიან შესაბამისი პროფილის აკადემიური ხარისხის მქონე 52 სპეციალისტი: 3 პროფესორი, 18 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ–პროფესორი, 20 მასწავლებელი (ენათა ცენტრიდან - მათ შორის 6 დოქტორი, 4 მეცნიერებათა კანდიდატი, 1 დოქტორანტი), 8 მოწვეული სპეციალისტი (მათ შორის 2 დოქტორი), და 24 დარგობრივი დოქტორი, რომლებიც პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად ეწევიან სამეცნიერო–კვლევით, პრაქტიკულ და მეთოდურ მუშაობას.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრა ხდება ჯგუფში სტუდენტის რაოდენობის, აკადემიური ჯგუფის საშუალო კვირეული დატვირთვისა და ასოცირებული პროფესორების საშუალო კვირეული დატვირთვის, ხოლო ცალკეული დეპარტამენტის მიხედვით „სტუდენტ/კრედიტის“ მაჩვენებლის გათვალისწინებით. აღნიშნული „სტუდენტ/კრედიტის“ მაჩვენებელი განსაზღვრავს აკადემიური კონკურსის დროს ცალკეული მიმართულებით გამოსაცხადებელი აკადემიური თანამდებობის რაოდენობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით პროგრამის ძირითად განმახორციელებელ სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტში კონკურსის წესით არჩეულია 2 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი, რომლებიც სრულად არიან დატვირთული საათებით და აფილირებული არიან აწსუ უნივერსიტეტთან. ასევე, საათების რაოდენობა იძლევა საათობრივ ანაზღაურებაზე დეპარტამენტის დამხმარე პერსონალის (დოქტორი) დატვირთვის საშუალებას.

პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე

პერსონალი.

სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევაში აკადემიურ პერსონალს დახმარებას უწევს მაღალი კვალიფიკაციის დამხმარე პერსონალი.

პროგრამის ხელმძღვანელი არის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ტექნოლოგიების აკადემიური დოქტორი, აგრარული ფაკულტეტის დეკანი, სუბროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი. მის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული შრომები შესაბამისობაშია პროგრამის კომპეტენციებთან, გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, კოორდინაციას უწევს პროგრამის შემუშავების, რეალიზაციის, მონიტორინგისა და სრულყოფის (განვითარების) სამუშაოებს. იგი პასუხისმგებელია აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე და წარმოადგენს ძირითად საკონტაქტო პირს, რომელიც მონაწილეობს პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის პროცესში. პროგრამის სრულყოფის მიზნით, აქვს უფლება გაეცნოს აკრედიტაციის შედეგებს, გაანალიზოს, შეაფასოს და მოახდინოს რეაგირება მათზე.

პროგრამის მეორე ხელმძღვანელი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ტექნოლოგიების აკადემიური დოქტორი, სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, რომელიც ასევე აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი საგნის/საგნების მითითებით;
- აკაკი წერეთლის წარმომადგენლობითი საბჭოს №173 (28.02.201წ.) დადგენილება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ;
- პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვები;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობები; პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუ ძიღიტად და მოწვეულ პერსონალთან
- ინტერვიუ სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): არ არის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ არის

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ ☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებას და შედეგების ანალიზს მათი პროფესიული განვითარებისა და სტუდენტთა შეფასების საფუძველზე. უნივერსიტეტში შემუშავებული „ურთიერთდასწრებისა და საუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა“ ითვალისწინებს პროგრამის მომსახურე აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას ურთიერთდასწრების გზით, რასაც ახორციელებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიპროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. ლექტორების შეფასება ასევე, წარმოებს სტუდენტების გამოკითხვით ტუტორების დახმარებითა და მათ მიერ მიღებული შედეგების გათვალისწინებით. საბაკალავრო პროგრამის განხორციელებას ძირითადად ემსახურება სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტი, რომლის პერსონალი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ღონისძიებებში, მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ტრეინინგები პროფესიული განვითარების მიზნით; სასწავლო და შემეცნებითი ხასიათის ტურები, ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა საწარმოებში სტუდენტების ნზა პროდუქციის წარმოების პროცესში ჩართვის მიზნით. დეპარტამენტის სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის გაფართოების მიზნით პროგრამის განმახორციელებელ დეპარტამენტში მუშავდება დარგობრივი საგრანტო პროექტები, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი მონაწილეობას იღებს რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებში, კერძოდ:ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 18. საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 89. შესრულებული სამეცნიერო შრომები ქვეყნდება სამეცნიერო კონფერენციების კრებულებსა და რეიტინგულ ჟურნალებში; აკადემიური პერსონალის მიერ საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებული იქნა სამეცნიერო 235 -დე სამეცნიერო შრომა, მათ შორის: ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებულია - 92 ნაშრომი; საერთაშორისო ჟურნალებში - 36, დანარჩენი 107 შრომა კი წარმოადგენს კონფერენციების კრებულში გამოქვეყნებულ შრომებს. პროგრამის განმახორციელებელი დეპარტამენტის წევრისა (პროფ.ქეთევან კინწურაშვილი) და ფაკულტეტის დოქტორანტების მიერ შესრულებულია შ,რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტები. აკადემიური პერსონალის მიერ მითითებულ პერიოდში გამოქვეყნებული იქნა 27 დამხმარე სახელმძღვანელოდა 20 მეთოდური მითითება. დეპარტამენტის პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი სამუშაო აისახება დეპარტამენტის ყოველწლიურ სამეცნიერო/კვლევით ანგარიშებში. ასევე მაღალია პროგრამის განმახორციელებელი სხვა დეპარტამენტების აკადემიური პერსონალის აქტივობები და ისინი შემდეგია:გამოცემული დამხმარე სახელმძღვანელოები, მეთოდური მითითებები და სალექციო კურსები - 41; ტრეინინგებში მონაწილეობა - 34; გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები - 503; გრანტებში მონაწილეობა - 11. აწსუ და აგრარული ფაკულტეტის ადმინისტრაცია ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ამ უკანასკნელის უზრუნველყოფის მიზნით ფაკულტეტზე შექმნილია აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი,რომლის ფარგლებში ფაკულტეტის საბჭოს მხარდაჭერით შესაძლებელია ფაკულტეტის ბიუჯეტიდან

სხვადასხვა დარგობრივი მიმართულების კვლევითი პროექტების დაფინანსება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები; • აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების მასალები (ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, კონფერენციები, გაცვლითი, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტები, რომლებიც ემსახურება პროფესიული და/ან სწავლების უნარის განვითარებას); • ურთიერთდასწრების ოქმები; • ურთიერთდასწრებისა და საუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა; • სტუდენტთა გამოკითხვები; • დეპარტამენტის ანგარიშები; • საწარმოო ობიექტებზე ყოფნის დამადასტურებელი ფოტომასალა, გამოქვეყნებული აგრარული ფაკულტეტისა და სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტის facebook გვერდზე - https://www.facebook.com/nata.popova.73 https://www.facebook.com/agraruli.fakulteti • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან • ინტერვიუ ძირითად და მოწვეულ პერსონალთან • ინტერვიუ სტუდენტებთან • ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან • ინტერვიუ დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ფაკულტეტზე შექმნილია აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი,რომლის ფარგლებში ფაკულტეტის საბჭოს მხარდაჭერით შესაძლებელია ფაკულტეტის ბიუჯეტიდან სხვადასხვა დარგობრივი მიმართულების კვლევითი პროექტების დაფინანსება.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებას ემსახურება უნივერსიტეტის და აგრარული ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა, მის მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ნივთები,რომელიც უზრუნველყოფსპროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების პრაქტიკულად განხორციელებას და იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. ესენია:

- სასწავლო მასალით უზრუნველყოფილი სალექციო აუდიტორიები;
- სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტის ლაბორატორიები: სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის ლაბორატორია - №211 აუდიტორია, ბიოტექნოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორია - №210 აუდიტორია, აგრონედლეულის შენახვა-გადამუშავების ლაბორატორია - №308 აუდიტორია, ქიმიური ანალიზის და ექსპერტიზის ლაბორატორია - №309 აუდიტორია, ბიოქიმიის და სასურსათო პროდუქტების ლაბორატორია - №310 აუდიტორია;
- ჩვეულებრივი და ელექტრონული ბიბლიოთეკა დიდი წიგნადი ფონდით;
- აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე;
- კომპიუტერული კლასები აღჭურვილი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით (კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამის ადექვატურია - შესაძლებელია სასწავლო კომპონენტების, სასწავლო კურსების ელექტრონულად არჩევა) და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა.

პროგრამის განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით მიზნით 2012-2018წ.წ.-ში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- გაუმჯობესდა პროგრამის შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდი:
  - პროგრამის მიზნებისთვის შეძენილი იქნა 25 დამხმარე სახელმძღვანელო და 16 მეთოდური მითითება ქართულ ენაზე;
  - 21-დე დამხმარე სახელმძღვანელო უცხო ენაზე.
  - შეიქმნა ელექტრონული სალექციო კურსები და გადაეცა ბიბლიოთეკას
- შეძენილი იქნა:
  - ლაბორატორიულ-ტექნიკური აღჭურვილობა: ფოტოკოლორიმეტრი КФК, pH-მეტრი, ტექნიკური ელექტროსასწორი OHAUS, სამი მიკროსკოპი, საშრობი ღუმელი (მუფელის), წყლის აბაზანა, სხვადასხვა ლაბორატორიული ჭურჭელი და რეაქტივები;
  - ლაბორატორიული სამუშაოების ნაკრები (საგნების: ბიოქიმია, საინჟინრო ენზიმოლოგია, ბიოტექნოლოგია, საწარმოო მიკრობიოლოგია განსახორციელებლად);
  - მაცივარი პროდუქტთა შენახვა -გადამუშავებისათვის;
  - 2 კომპიუტერი, პროექტორი და გასაშლელი ეკრანი სალექციო კურსებისა და პრეზენტაციების განსახორციელებლად;
  - ლაბოტორიული ინვენტარი - მაგიდები, სკამები, თაროები.
- გაუმჯობესდა სასწავლო აუდიტორიების და ლაბორატორიების გათბობა, შეიცვალა წყალგაყვანილობა, შეძენილი იქნა ახალი ლაბორატორიული ინვენტარი.

სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპატამენტის სტრატეგიული განვითარების გეგმით გაწერილია ის აქტივობები, რომლებიც უნდა განხორციელდეს 2022 წლის ჩათვლით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ-ს მატერიალური ბაზის ფაქტობრივი მდგომარეობა;
- სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიისდეპარტამენტის ლაბორატორიების არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა;
- აგრარული ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- აგრარული ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების პროფილი;
- სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ცნობა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში პროგრამის ლიტერატურის არსებობის შესახებ; https://library.atsu.edu.ge
- ინტერვიუ ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან
- ინტერვიუ სტუდენტებთან
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, ლაბორატორიების აჭღურვილობის გადახალისება თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

უახლესი ტექნოლოგიებითა და საბიბლიოთეკო ბაზებით აღჭურვილი ცენტრალური ბიბლიოთეკა, რომელთნაც ელექტრონულადაა დაკავშირებულია ფაკულტეტის ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მუდმივი მზაობა დამხმარე სახელმძღვანელოების შეძენასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული ყოველწლიური ხარჯის გაანგარიშების სპეციალური ელექტრონული პროგრამით და იანგარიშება პროგრამის სასწავლო კომპონენტების, პრაქტიკის და კვლევითი კომპონენტების მიხედვით.

პროგრამის ხარჯებში გათვალისწინებულია:

- ასოცირებული პროფესორის სახელფასო სარგოს და საშტატო განაკვეთის დატვირთვის მოცულობა;
- პრაქტიკის ობიექტისათვის აწსუ-ს მიერ გადასახდელი თანხიდან, 1 სტუდენტზე 20 ლარი;
- წლის განმავლობაში დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალის ხარჯი გაანგარიშებული 1 ჯგუფზე;
- წლის განმავლობაში პროგრამის განვითარებისათვის გასაწევი ინფრასტრუქტურული ხარჯი, გაანგარიშებული 1 ჯგუფზე;
- ინფრასტრუქტურა ალტერნატიული წყაროებიდან გულისხმობს სხვადასხვა ფონდებიდან შეძენილი აქტივის ან საჩუქრად გადმოცემული ქონების ღირებულებას, რომელიც პროგრამის ხარჯს არ ემატება და წარმოადგენს დამატებით ბენეფიტს;
- სხვა ხარჯებში შედის სახარჯო მასალები და მარაგები.

„აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა“ საბაკალავრო პროგრამის აღნიშნული ფორმით გაანგარიშების საფუძველზე ჩანს, რომ 22სტუდენტიანი ჯგუფის მომსახურების ხარჯი შეადგენს 48 773,4 ლარს.

არსანიშნავია, რომ საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან ფაკულტეტისთვის დამატებით გამოყოფილია ფინანსური რესურსი, რომლის სიდიდე განისაზღვრება წინასწარ დადგენილი და შეთანხმებული კრიტერიუმებით და მისი ხარჯის უმეტესი ნაწილი მოდის აკადემიური პერსონალის კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებაზე და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, მათი ინგლისურენოვანი კომპეტენციის ამაღლებაზე ინტენსიური კურსით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება№175 - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპების შესახებ;
- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- აგრარული ფაკულტეტის დებულება;
- პროგრამის ბიუჯეტი.
- ინტერვიუ ადმინისტრაციასტან
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუ სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან ფაკულტეტისთვის დამატებით გამოყოფილია ფინანსური რესურსი, რომლის სიდიდე განისაზღვრება წინასწარ დადგენილი და შეთანხმებული კრიტერიუმებით და მისი ხარჯის უმეტესი წილი მოდის აკადემიური პერსონალის კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებაზე და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, მათი ინგლისურენოვანი კომპეტენციის ამაღლებაზე ინტენსიური კურსით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ ☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შიგა შეფასების სისტემა, რომელიც გულისხობს კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების პარამეტრების შეფასებას უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ. საბაკალავრო პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციას“ (აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №49(17/18) 09.02.2018წ.), უნივერსიტეტში ხარისხის შიდა სისტემა ეფუძნება სამ ძირითად პოლიტიკას:

I. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA;
II. კვლევის განვითარების პოლიტიკა - RE-QA;
III. მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA;

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA ხორციელდება სამი პროცედურის საშუალებით:

1. EP-QA 1.1 - საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა;
2. EP-QA 1.2 - საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა;
3. EP-QA 1.3 - მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა.

აღნიშნულის გათვალისწინებით პროგრამის შეფასება წარმოებს ცვლილების განსაზღვრის (იდენტიფიცირება), ცვლილების შემუშავების და ცვლილების განხილვა-დამტკიცების ეტაპობრივი პროცედურით.

პროგრამაში ყოველწლიური ცვლილებები განპირობებულია უნივერსიტეტში მიმდინარე გაახლებადი ცვლილებებით, ასევე, პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი დეპარტამენტის (სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარატამენტი) აკადემიური პერსონალის მიერ ინიცირებული შენიშვნებითა და მოსაზრებებით, რომელიც განიხილება დეპარტამენტის სხდომებზე და მისი შემდგომი პროცედურებით. აღნიშნული ცვლილებები აისახება პროგრამის ყოველწლიურ თვითშეფასების ანგარიშებში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესებისათვის ტარდება სტუდენტთა და თანამშრომელთა ანკეტური გამოკითხვა. შიდაშეფასების საფუძველზე ხდება პროგრამის სრულყოფა და მოდიფიკაცია.

პროგრამის ხელმძღვანელებისა და მისი განმახორციელებელი პერსონალისთვის ტარდება კონსულტაციები, ტრეინინგი. პერსონალი ჩართულია საგანმანათლებლო პროგრამების შედგენასა და მოდიფიკაციის პროცესში.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილმა საბაკალავრო პროგრამამ „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა“ გაიარა შიდა ექსპერტული შეფასება, რეცენზირება დაევალა აწსუ-ს პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისუფროსს ასოც. პროფ. მამულო ბუჭუკიშვილს. მის მიერგამოთქმული შენიშვნა შეეხებოდა პროგრამის სასწავლო გეგმაში საგნების კრედიტების ჯერადობას, რაც განსაზღვრულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით და შესაბამისად გამომდინარეობს საგნების სპეციფიურობიდან და მოცულობიდან. გამოითქვა შენიშვნა სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელკატალოგში არარსებობის შესახებ, რაც აიხსნება იმით, რომ 2000 წლამდე გამოცემული ლიტერატურა სრულად არ არის კატალოგიზირებული, თუმცა არის ბიბლიოთეკის საცავში. პროგრამას გაეწია რეკომენდაცია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წინაშე, გარე შეფასებისთვის მისი აკრედიტაციაზე წარდგენის შემდგომი მსვლელობისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება №49(17/18) 09.02.2018წ. „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“-ს დამტკიცების შესახებ;
- სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტის სხდომის ოქმები;
- პროგრამის ყოველწლიური თვითშეფასებები;
- სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტის სხდომის ოქმის №2, 01.10.2018წ.
- პროგრამის შიდა საექსპერტო დასკვნა კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან
- ცნობა ბიბლიოთეკიდან პროგრამით განსახორციელებელი სილაბუსების ლიტერატურის ბიბლიოთეკის ფონდთან შესაბამისობის შესახებ.

- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

შემუშავებულია დეტალური ინსტრუქცია საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, მისი შემუშავების , განხილვისა და შემდგომი განვითარების შესახებ

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია დეტალური ინსტრუქციის საფუძველზე (საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, მისი შემუშავების , განხილვისა და შემდგომი განვითარების შესახებ) შეიქმნა პროგრამის თანდართული დოკუმენტაცია სპეციალური ნუსხის მიხედვით.

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ ☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა აკრედიტირებულ იქნა 2011 წელს (№3, 16.09.2011წ.), ექსპერტთა მიერ გამოითქვა რეკომენდაციები:

- წინამდებარე პროგრამა საშუალებას იძლევა მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტი ჩაის, თამბაქოს, ცხიმზეთების და ეთერზეთების, საკონსერვო წარმოების, ლუდის, უალკოჰოლო სასმელების, ღვინის ქარხნებისა და ფერმერული მეურნეობისათვის, სასურსათო პროდუქტთა ხარისხის მონიტორინგის სამსახურებისათვის, მაგრამ სწავლის შედეგებში მოცემული კომპეტენციების დონისა (მიუხედავად იმისა, რომ შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრული სწავლების პირველ საფეხურზე მისაღწევ კომპეტენციებს) და პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე სასურველია პროგრამა „სუბტროპიკული კულტურების ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგია“ შემდგომში განვითარდეს და გამსხვილდეს „სასურსათო ტექნოლოგიის“ სახელწოდებით მისანიჭებელი კვალიფიკაციის (სასურსათო ტექნოლოგიების ბაკალავრი) გათვალისწინებით და სასწავლო გეგმაში დამატებული იქნას დარგის შესაბამისი სხვა ტექნოლოგიების სასწავლო კურსები. აღნიშნული რეკომენდაცია უზრუნველყოფს საბაკალავრო პროგრამა იყოს უფრო განზოგადებული, შრომის ბაზრისათვის უფრო ხელსაყრელი და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობაც შედარებით უფრო უზრუნველყოფილი.
- ხარისხოვანი სასურსათო პროდუქციის მწარმოებელი სპეციალისტის მომზადებისათვის სასურველია უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეივსოს პროდუქტთა უვნებლობის დამდგენი თანამედროვე ლაბორატორიული მოწყობილობით.
- პროგრამის სასწავლო კურსები უზრუნველყოფილია უნივერსტიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული შესაბამისი სასწავლო ლიტერატურით, მაგრამ სასურველია უფრო მეტი რაოდენობით ქართული და უცხოური ლიტერატურის მითითება, მით უმეტეს პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია ორი უცხო ენის ათვისება.

ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით განხორციებული ცვლილებები შეეხო პროგრამის სრულყოფას. სასწავლო კურსების თემატიკებიდან გამომდინარე, რომელიც შეეხებოდა აგრონედლეულის კვების პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგიებს, მათი კონტროლისა და ექსპერტიზის საკითხებთან ერთად, რაც არ აისახებოდა სასწავლო კურსების და პროგრამის სახელწოდებებებში,მოხდა პროგრამის სახელწოდების ცვლილება სწავლის შედეგის და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შეცვლის გარეშე და ჩამოყალიბდა „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა“, როგორადაცაა წარდგენილი აკრედიტაციაზე. ასევე რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაახლების, სასწავლო კურსების გაახლებადი ლიტერატურით უზრუნველყოფის მიმართულებითაც.

აკრედიტაციაზე წარდგენილ პროგრამას შეეცვალა კვალიფიკაცია, გამსხვილდა აგრარული დარგის მიმართულებით და ჩამოყალიბდა „აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი სასურსათო ტექნოლოგიაში“.

პროგრამის გარე ექსპერტული შეფასება განხორციელდა 2018 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის პროფესორის, აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის ქიმიური ანალიზისა და სურსათის უსაფრთხოების განყოფილების უფროსის მიერ. მის მიერ გამოთქმული შენიშვნები ძირითადად შეეხებოდა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსობრივ მხარეს, კერძოდ, ლაბორატორიული სამუშაოების დუბლირებას, პროგრამის და ზოგიერთი საგნის კომპეტენციების გადაჭარბებით წარმოჩენას, ზოგიერთი კურსის თემობრივ მსგავსებას და მის ერთ საგანში განხილვას. ზოგიერთი შენიშვნა არ იქნა მიღებული, რომელიც ეხებოდა სასწავლო კურსის „მცენარეთა ბიოქიმია“ შინაარსობრივ მხარეს (რაც კლასიკური ბიოქიმიის შესწავლის საგანია), ექსპერტიზის საგნებში ტექნოლოგიის საკითხების შერევას (ტექნოლოგიის ცოდნის გარეშე ვერ მოხერხდება ექსპერტიზის ჩატარება, ტექნოლოგიის ცოდნის წინაპირობა მითითებულია კომპეტენციებში),უმეტესი შენიშვნები გათვალისწინებულ იქნა და პროგრამის პაკეტი შესწორებული და საბოლოო სახით ჩამოყალიბდა და სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტის სხდომის გადაწყვეტილებით .შემდგომი მსვლელობისთვის გადაეცა ფაკულტეტის საბჭოს აწსუ აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამის „სუბტროპიკული კულტურების ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგია“ აკრედიტაციის ბრძანება№3, 16.09.2011წ.
- სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტის სხდომის ოქმი №3, 17.10.2018წ.
- პროგრამის გარე საექსპერტო დასკვნა.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მასალები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ ☐**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ითვალისწინებს სხვადასხვა სახის მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას, რომელშიც ჩართულნი არიან აკადემიური პერსონალი, დამხმარე პერსონალი, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები.

პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით ტარდება შემდეგი აქტივობები:

- პროგრამის ხელმძღვანელის მიერკეთდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრების მიხედვით, რომელიც სათანადოდ ფორმდება და აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშებში.
  ჩატარებული კვლევის ანალიზის შედეგად ვლინდება როგორც აკადემიური პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია, ასევე შეფასების დაბალი მაჩვენებლები რიგ სასწავლო კურსებში, ხდება კურსების შეფასების ფორმების და სირთულის ადექვატურობის გაანალიზება, იკვეთება რეკომენდაციები, რომლებიც სრულდება უმოკლეს ვადებში.
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება პროგრამის აქტიურისტატუსის მქონე სტუდენტების გამოკითხვები, რომლებიც მიზნად ისახავენ სტუდენტთა ჩართულობის გამოყენებას და ამით ფაკულტეტზე არსებული წარმატებების და

ნაკლოვანი მხარეების გამოვლენას. გარდა პროგრამის, აკადემიური პერსონალის და სწავლების სისტემის შეფასებისა, სტუდენტთა მიერ იქნა გამოთქმული შენიშვნები, რომლებიც შეეხებოდა აუდიტორიების კეთილმოწყობას (გათბობა-გაზიფიცირება), გარე ტერიტორიის მოწყობას (ხეების დარგვა), სველი წერტილების მოწესრიგებას, რაც შემდგომი წლების გამოკითხვების შედეგებით გაუმჯობესებულია და აღმოფხვრილია (გარდა სპორტული მოედნისა და ტრანსპორტის მოძრაობისა, რაც მერიის პრეროგატივაა).სტუდენტების მიერ აკადემიური პერსანალის შეფასებისას დასმული ყველა კითხვის პასუხის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა პერსონალის მაღალკვალიფიციურობა, მათი მომზადების დონე, მიდგომა სტუდენტების მიმართ, ობიექტურობა, მასალის ფლობის და აუდიტორიასთან მუშაობის მაღალი უნარი და სხვა. შეფასება მოხდა 5 ქულიანი სისტემით და ძირითადად შეფასება იყო მაღალი.

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია „კოლეგიალური ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა“, რომლის შესაბამისად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტის მიერ სასწავლო პროცესის შემადგენელი სალექციოს კურსების მსვლელობის შეფასება წარმოებს ურთიერთდასწრების მეშვეობით წინასწარ დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით.ურთიერთდასწრების შედეგებით: დაცული იყო ურთიერთდასწრების განრიგი, ლექციები დროულად იწყებოდა, ლექციებზე დაცული იყო დროის მენეჯმენტი, განსახილველი თემა შეესაბამებოდა სილაბუსით გათვალისწინებულ თემატიკას, სწავლების მეთოდები შეესაბამებოდა სილაბუსის მოთხოვნებს, გამოყენებული იყო ახალი სახელმძღვანელოები, სალექციო მასალის ვიზუალურად წარსადგენად მეცადინეობის პროცესში გამოყენებული იყო პროექტორი. თუმცა ასევე გამოვლინდა ტექნიკური ნაკლოვანებები: სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის მიმართულებით მხოლოდ ერთი პროექტორი არსებობს, ზოგიერთი ლაბორატორია არ არის აღჭურვილი ამწოვი კარადით, სასწორებით და საჭირო ლაბორატორიული ინვენტარით, ხელსაწყოებით და რეაქტივებით, სასურველია სწავლა/სწავლების პროცესში გამოყენებულ იქნას ახალი, თანამედროვე სწავლების მეთოდები, ინტერნეტ-ტექნოლოგიები. დადგენილ იქნა, რეკომენდაციის გაწევა სწავლა/სწავლების პროცესში გლობალური საინფორმაციო ქსელის რესურსებისადა ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკის დანერგვას ფაკულტეტზე ყველა იმ საგანში, რომლის სასწავლო კურსის შინაარსიც ამის შესაძლებლობას იძლევა, ამასთან, ეთხოვაფაკულტეტის საბჭოს სალექციო აუდიტორიების პროექტორით და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით მოწყობის, ლაბორატორიების ტექნიკური მოწყობილობებისა და რეაქტივების შეძენის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების განხილვა, რაც ნაწილობრივ აღმოფხვრილ იქნა 2018 წელს ლაბორატორიული ინვენტარისა და შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობისა და რეაქტივების შეძენით.
- სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტის სხდომაზე (№5, 28.12.2015წ.) განხილულ იქნა პროგრამის დამსაქმებლებთან განხილვის შედეგები, სხდომაზე მოწვეულ იქნენ დამსაქმებლებიც, რომლებმაც გამოთქვეს აზრი სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გადამუშავების მიმართულებით არსებულ პრობლემებზე და პერსპექტივებზე, განიხილეს აღნიშნული პროგრამა. დამსაქმებლების აზრით, სხვადასხვა პროგრამების შემუშავების და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებაში დიდი როლი ეკისრება „აგრონედლეულის კვების პროდუქტთა ტექნოლოგიის და ექსპერტიზის“ კურსის სწავლებასა და შესაბამისი კადრების მომზადებას, გამოიკვეთა, რომ სასურველი იქნებოდა უფრო მეტი დამატებითი კომპეტენციების მიცემა კურსდამთავრებულთათვის. ამ მიზნით შეიძლება პროგრამაში ახალი სასწავლო კურსების დამატება ექსპერტიზის კუთხით, ასევე, არჩევითი მოდულების გაფართოება მომიჯნავე სპეციალობის თუ ძირითადი სპეციალობის საგნებით, რითაც უფრო გაიზრდება პროგრამისადმი დაინტერესება, მოიზიდავს უფრო მეტ კონტიგენტს და გაფართოვდება კურსდამთავრებულების დასაქმების არეალი. მათ მიერ შემოთავაზებულ იქნა ძირითად სასწავლო კურსში საგნის „ეთერზეთების, ცხიმზეთების და მათი ნაწარმის ექსპერტიზა“, არჩევითი საგნების ბლოკში საგნის „აგრონედლეულის გადამამუშავებელი კვების საწარმოთა დაგეგმარების საფუძვლები“, „სოფლის მეურნეობის მექანიზაცია“ შეტანა. აღნიშნული ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული წარმოდგენილ სააკრედიტაციო პროგრამაში არჩევითი საგნების ბლოკში საგნის „აგრონედლეულის გადამამუშავებელი კვების საწარმოთა დაგეგმარების საფუძვლები“ დამატებითა და არსებული საგნის „ეთერზეთების ტექნოლოგია და ექსპერტიზა“ შინაარსობრივად ცხიმზეთების ტექნოლოგიით გამდიდრებით, შესაბამისად

საგანი ჩამოყალიბდა როგორც „ეთერზეთების და ცხიმზეთების ტექნოლოგია და ექსპერტიზა“.

- 2015-2017 წლებში ჩატარდა დასაქმებულთა გამოკითხვები სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტის და პროგრამის „აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგიის და ექსპერტიზა“ ხელმძღვანელების მიერ წინასწარ დამტკიცებული კითხვარის მეშვეობით.გამოკითხვები ჩატარებულ იქნა შემდეგ საწარმოებში:
  - ეთერზეთების გადამამუშავებელი საწარმო (ლაგოდეხი);
  - შ.პ.ს. „უნიფარმი“;
  - შ.პ.ს „ჯეო-აგრო-პროდუქტი“;
  - შ.პ.ს. „თერნალი ჩაი“;
  - შ.პ.ს. „კოლხეთი“;
  - შ.პ.ს. „თერნალი+“;
  - შ.პ.ს. „ვარაზი“;
  - შ.პ.ს. „მიკრობიოლოგი“;
  - ტყიბულის ჩაის საწარმო;
  - ხონის ჩაის საწარმო;
  - დაფნის მიმღები საწარმო „ქართული დაფნა“ (ვანი);
  - შ.პ.ს. „კულა“ (გორი);
  - შ.პ.ს. ლუდის საწარმო ,,ნატახტარი“ (მცხეთა);
  - ანასეულის საკვლევი ცენტრის ჩაის გადამამუშავებელი საწარმო;
  - შ.პ.ს. „იბერია-ფრუტსი“ (დუშეთი);
  - შ.პ.ს. „თიემტი“ (კასპი);
  - შ.პ.ს. „ჩირიფრუტი“ (კასპი);
  - შ.პ.ს. „ხილი და დინასტია“ (ქარელი);
  - ქობულეთში - ციტრუსების გადამამუშავებელი საწარმო.

  გამოკითვის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მაჩვენებლები:
  - უმეტეს საწარმოებს ჰყავთ მიღებული უმაღლესი საგანმნათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულები, ასევე, გეგმავენ მათ მიღებას აგრარული დარგის განვითარების შესაბამისად, აღნიშნული ზრდის სასურსათო ტექნოლოგიის მიმართულების სპეციალისტების კონტიგენტის გაზრდის და პროფესიულად ჩამოყალიბების პერსპექტივას;
  - აღნიშნულ საწარმოებში დასაქმებული არიან აგრარული მეცნიერების და აგროინჟინერიის კურსდამთავრებულები, რაც უფრო პრიორიტეტულს ხდის მათ შემდგომ მომზადებას და დასაქმებას კვების საწარმოებში;
  - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულები სრულად ფლობენ საჭირო უნარ-ჩვევებს აღნიშნულ კომპანიაში მუშაობისათვის, აღნიშნული განსაკუთრებით ეხება საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს, რომლებზეცაა უფრო მეტი მოთხოვნილება;
  - ბაკალავრის/მაგისტრის/დოქტორის მიერ დაკავებული პოზიციები მკვეთრადაა გამიჯნული უმეტეს საწარმოებში, რაც უფრო მეტად ზრდის მათი პროფესიული მომზადების საჭიროებას საფეხურების მიხედვით;
  - კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობის ასამაღლებლად უმეტესად რეკომენდირებულია: დამსაქმებლების საჭიროებებზე მორგებული ანუ რელევანტური კურსების შექმნა, სასწავლო კურსების მეტი პრაქტიკული ორიენტაცია, კურსდამთავრებულების პერიოდული გადამზადება დარგში მიმდინარე აქტუალური ცვლილებების შესაბამისად;
  - გამოკითხული ყველა საწარმო ასაქმებს სასურსათო ტექნოლოგიის მიმართულების კურსდამთავრებულებს, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ აღნიშნული დარგის განვითარების პარალელურად გაიზრდება მოთხოვნილება სასურსათო ტექნოლოგის სპეციალისტებზე, რაც მათი დასაქმების პერსპექტივასაც წარმოადგენს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- სტუდენტთა გამოკითხვები;
- ურთიერთდასწრებების ოქმები;
- სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტის სხდომის ოქმი №5

(28.12.2015წ.) • შრომის ბაზრის ანალიზი; • ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ახალი ვადით აკრედიტაციაზე წარდგენამდე პროგრამამ გაიარა შიდა საფაკულტეტო, შიდა საუნივერსიტეტო და გარე საექსპერტო შეფასება.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამის მიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	✓			
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	✓			
4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	✓			
5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა“ :

ნინო ჩხარტიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა:

ლევან გულუა

ვახტანგ კურცხალია

ნინო დეკანოიძე